სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

17 ნოემბერი 2026

N 21/16720

შპს „სანიტარი“-ს დირექტორს

ბატონ ბესიკ ჭელიძეს

მის: ქალაქი რუსთავი, გამარჯვების გზატკეცილი №4

ელ.ფოსტა: sanitary@sanitary.ge

n.kiknadze@sanitary.ge

ბატონო ბესიკ,

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ – სააგენტო) განიხილა თქვენი 2026 წლი 21 ოქტომბრის №15983 წერილით წარმოდგენილი საქმიანობის (ნარჩენების აღდგენის, ნარჩენების განთავსების (ინსინერაცია) და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის ექსპლუატაციის პირობის ცვლილება) სკრინინგის განცხადება და გაცნობებთ შემდეგს:

ა) წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების აღწერის თავში, №1 ცვლილებაში წარმოდგენილია შემდეგი ინფორმაცია: „2026 წლის 14 ივლისის №004305 ადმინისტრაციული მიწერილობის №1 დანართის 1.1.3 პუნქტის თანახმად, ჩამდინარე წყლის ჩაშვების ფაქტობრივი კოორდინატი (GPS: X-504329 Y-4604716) არ შეესაბამება გზშ-ის ანგარიშში მოცემულ კოორდინატს (GPS: X-504205 4604733). აღნიშნული ჩაშვების ფაქტი იყო ერთჯერადი, რაც გამოწვეული იყო კონკრეტული თანამშრომლის დაუდევრობით. ფაქტობრივი მდგომარეობითა და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 31 მარტის №162/ს ბრძანების თანახმად, კომპანია უზრუნველყოფს წყლების შეგროვების ორგანიზებას შემკრები ავზის საშუალებით, ხოლო შეკრებილი წყლების საასენიზაციო მანქანით გატანასა და ქ. რუსთავის საკანალიზაციო სისტემაში ჩაშვებას. საკითხი შეთანხმებულია და არსებობს შესაბამისი ხელშეკრულება შპს „გარდაბნის გამწმენდ ნაგებობა“-სთან. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ნაწილში ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფაქტს ადგილი არ/აღარ აქვს**. ზემოაღნიშნული ინფორმაცია გაუგებარია, რადგან იმ შემთხვევაში თუ შპს „სანიტარი“ ჩამდინარე წყლის ჩაშვებას უზრუნველყოფს შესაბამისი სკრინინგის გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობების დაცვით, გაუგებარია რატომ არის განხილული მითითებული ინფორმაცია ექსპლუატაციის პირობის №1 ცვლილებად. ამასთან, ჩამდინარე წყლების ჩაშვების საკითხთან დაკავშირებით, შპს „საქართველოს მელიორაცია“-ს კორესპონდენციის შესაბამისად, №1 ცვლილებაში მითითებული GPS კოორდინატები (X-504329 Y-4604716 და X-504205 Y-4604733), სადაც ხდებოდა

ჩამდინარე წყლების ჩაშვება ემთხვევა შპს „საქართველოს მელიორაცია“-ს კუთვნილი კ-17 არხის მდებარეობას და კომპანია წინააღმდეგია აღნიშნულ არხში ჩამდინარე წყლების ჩაშვების (იხ. დანართი).

ბ) №2 ცვლილებაში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ობიექტზე ინსინერაციას დაქვემდებარებულ ნარჩენებს ემატება შემდეგი კოდებით კლასიფიცირებული ნარჩენები : 16 01 14* – ანტიფრიზის სითხეები, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს და 08 01 13* – ნალექი საღებავის ან ლაქის, რომელიც შეიცავს ორგანულ გამხსნელებს ან სხვა სახიფათო ნივთიერებებს (ცხრილი №4.1). აქვე მითითებულია, რომ „შპს „სანიტარი“-ს უკვე აქვს მითითებულ ჯგუფებში შემავალი ნარჩენების ინსინერაციის უფლება, კერძოდ, 08 01 19* – წყალშემცველი სუსპენზია, რომელიც შეიცავს საღებავს ან ლაქს, რომელიც შეიცავს ორგანულ გამხსნელებს ან სხვა სახიფათო ნივთიერებებს; 08 01 21* – საღებავის ან ლაქის მოსაცილებელი საშუალებების ნარჩენები; 16 01 07* – ზეთის ფილტრები; 16 01 14* ანტიფრიზი სითხეები, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს. აქედან გამომდინარე, №4.1 ცხრილში მოცემული ნარჩენების დამატება შპს „სანიტარი“-ს უკვე არსებული და მართვას დაქვემდებარებული ნარჩენების ნუსხაში არ საჭიროებს და არ არის დაკავშირებული რაიმე ახალი ან/და დამატებითი ინფრასტრუქტურის მოწყობასა ან/და ტექნოლოგიის შეცვლასთან. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მხედველობაშია მისაღები, რომ 16 01 14* კოდით კლასიფიცირებული ნარჩენის ინსინერაცია გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული არ არის და ამასთან, №2 ცვლილებად სკრინინგის განცხადებაში განხილულია სწორედ მითითებული კოდით კლასიფიცირებული ნარჩენის ინსინერაციას დაქვემდებარებული ნარჩენების ნუსხაში დამატება. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას/განმარტებას. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იქნას დეტალური ინფორმაცია ზემოაღნიშნული ცვლილების (შედარებითი ანალიზი) და აღნიშნული ცვლილების განხორციელებით გარემოს კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ.

გ) №3 ცვლილებაში წარმოდგენილია შემდეგი ინფორმაცია: „2026 წლის 14 ივლისის №004305 ადმინისტრაციული მიწერილობის №1 დანართის 1.4 პუნქტის თანახმად, ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ ინსინერატორის შენობის გარეთ განთავსებულია დიზელის 4-ტონიანი ავზი, ნაცვლად ზდგ-ის ნორმების პროექტში აღნიშნული 3 მ^3 მოცულობის დიზელის რეზერვუარისა. დღეის მდგომარეობით ხსენებული 4-ტონიანი დიზელის ავზი ტერიტორიიდან გატანილია და ტერიტორიაზე განთავსებულია და ოპერირებაშია ზდგ-ის დოკუმენტით გათვალისწინებული 3 მ^3 მოცულობის დიზელის რეზერვუარი. **შესაბამისად, ამ ნაწილში ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფაქტს ადგილი არ/აღარ აქვს.** აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებითაც გაუგებარია რატომ არის განხილული მითითებული ინფორმაცია ექსპლუატაციის პირობის №3 ცვლილებად, იმ შემთხვევაში, თუ ობიექტზე ოპერირებს ზდგ-ის ნორმების პროექტით გათვალისწინებული 3 მ^3 მოცულობის დიზელის რეზერვუარი და არა დიზელის 4-ტონიანი ავზი.

დ) №4 და №5 ცვლილებებში წარმოდგენილია შემდეგი ინფორმაცია**:** „2026 წლის 14 ივლისის №004305 ადმინისტრაციული მიწერილობის №1 დანართის 1.5 პუნქტის თანახმად, ინსპექტირებისას დადგინდა, რომ რადიაციული ნარჩენების კონტეინერების ფაქტობრივი რაოდენობა არ შეესაბამება გზშ-ის ანგარიშში მოცემულ რაოდენობას. კერძოდ, დადგინდა, რომ რადიაციული ნარჩენებისთვის განკუთვნილია 6 კონტეინერი, ნაცვლად გზშ-ის ანგარიშით განსაზღვრული 4 ერთეულისა. კომპანიას ფაქტობრივი მდგომარეობით გააჩნია 10 (ათი) ერთეული რადიაციული ნარჩენების კონტეინერი, რაზედაც გააჩნია სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს ლიცენზია და 10 წლით შენახვის ვადით გახანგრძლივებაზე სააგენტოს 2020 წლის 19 თებერვლის №146 წერილი. 2026 წლის 14 ივლისის №004305 ადმინისტრაციული მიწერილობის №1 დანართის 1.7 პუნქტის თანახმად, კომპანიის გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, კონტეინერების რაოდენობაა (13 სასაწყობე კონტეინერი), დოკუმენტის გენ-გეგმაზე მოცემული კონტეინერების რაოდენობაა 12 (ექსპლიკაცია – 16) და 3 ცალი (ექსპლიკაცია – 19), თუმცა,

ფაქტობრივი მდგომარეობით, კომპანიას გააჩნია 18 ერთეული კონტეინერი, აქედან 12 სასაწყობე და 6 რადიაციული ნარჩენებისთვის განკუთვნილი. ფაქტობრივი მდგომარეობით შპს „სანიტარი“-ს გააჩნია 9 (ცხრა) ერთეული სასაწყობე კონტეინერი (ნაწილი ინვენტირსთვის, ხოლო ნაწილი ნარჩენების დროებითი დასაწყობებისთვის) და 10 (ათი) ცალი რადიაციული ნარჩენებისთვის, რომელზედაც როგორც ზედა პუნქტში აღინიშნა, კომპანია ფლობს შესაბამის ლიცენზიას №000160. მითითებულ საკითხთან დაკავშირებით, სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს კორესპონდენციის შესაბამისად, 2020 წლის 19 თებერვალს შპს „სანიტარი“-სგან წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს მიერ გაიცა თანხმობა რადიოაქტიური ნარჩენების შენახვის ვადის 10 წლით გახანგრძლივების თაობაზე, ასევე რადიოაქტიური ნარჩენების განთავსებისთვის გამოყოფილი ტერიტორიის გაფართოებაზე (№146, 19.02.2026). ამ ეტაპზე შპს „სანიტარი“-ს წარმოდგენილი აქვს დოკუმენტაცია 10 კონტეინერში ნარჩენების განთავსებასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ეს რიცხვი გაიზრდება, ლიცენზირებული ორგანიზაცია ვალდებულია სააგენტოში წარმოადგინოს შეტყობინება საქმიანობის გაფართოებასთან დაკავშირებით. წარმოდგენილი განცხადების განხილვის შემდეგ კი გაიცემა შესაბამისი დასკვნა (იხ. დანართი). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იქნას დეტალური ინფორმაცია ზემოაღნიშნული ექსპლუატაციის პირობის ცვლილების (შედარებითი ანალიზი) და აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე გარემოს კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ.

ე) სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ქრისტინე გაბისონიას (დიდი ლილოს საინვესტიციო ჯგუფი) მიერ სააგენტოში წარმოდგენილი იქნა შენიშვნები ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებასთან დაკავშირებით. დანართის სახით, გთხოვთ, იხილოთ მითითებული შენიშვნები და უზრუნველყოთ სკრინინგის განცხადების შესაბამისად გადამუშავება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებული საკითხების დაზუსტებამდე, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს გადაწყვეტილება და კოდექსის მე-7 მუხლის 5^1 ნაწილის საფუძველზე, წყვეტს თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე ადმინისტრაციულ წარმოებას.

დანართი: ტექსტის თანახმად.

პატივისცემით,

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/16720-21-2-202611171435


QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE